№704 2015 წლის 6 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „Global Alliance for Health and Social Compact“-ს შორის საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის №360 განკარგულების ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „Global Alliance for Health and Social Compact“-ს შორის საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან ხელშეკრულების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ არ საჭიროებს საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**